

შპს „ქაფრინა“

საიდენტიფიკაციო კოდი: 405290180

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შპს "ქაფრინა (405290180)

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

აქტივები	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	329406	263976	793779
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9609	9689	13404
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	315319	137300	701747
მარაგები	4466875	6918093	5948977
მზა პროდუქცია	4426084	0	0
სხვა	40791	6918093	5948977
საინვესტიციო ქონება		0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები			15147
ბიოლოგიური აქტივები		0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0
გადაფასების მოდელით		0	0
გუდვილი		0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	1057	1244	1463
ძირითადი საშუალებები	4022203	356731	222190
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		4787027	5313796
სულ აქტივები	9144469	12474060	13010503
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	1362916	778874	729726
ანარიცხები		0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0
საგადასახადო ვალდებულებები	54704	48883	71360
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	700000
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		0	0
მიღებული გრანტები		0	0
სხვა ვალდებულებები	891	0	0
სულ ვალდებულებები	1418511	827757	1501086

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	4416868	9996095	9996095
საემისიო შემოსავალი		0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3309090	2550208	1513322
გადაფასების რეზერვი		0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	7725958	11646303	11509417
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9144469	12474060	13010503

დირექტორი: ფარზად ნური

**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	3973986	2776105
საქონლის გაყიდვიდან	3973986	2776105
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	(2875384)	(1388014)
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1098602	1388091
სხვა საოპერაციო შემოსავალი		1044
დასაქმებულთა ანაზღაურება	(96610)	(133262)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(12642)	(11674)
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი		(35115)
იჯარის ხარჯი		(17195)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(224390)	(183507)
სულ საოპერაციო ხარჯები	(333642)	(359709)
საოპერაციო მოგება	764960	1028382
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		8504
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	764960	1036886
მოგების გადასახადის ხარჯი	(6077)	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	758883	1036886

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	758883	1036886
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	11646303	11509417
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(758883)	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(3920345)	-900000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7725958	11646303

დირექტორი: ფარზად ნური

ფულადი სახსრების მოძრაობა		
2022წელი		სულ
საოპერაციოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		263 976
1	შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან (+)	3 973 986
2	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები (+)	
3	თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები (-)	-96 610
4	მასალებზე გაწეული ხარჯი (-)	-153086
5	გადახდილი გადასახადები (-)	-689375
6	მიღებული მომსახურების და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	-2939466
7	მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები (-)	
8	სხვა არასაოპერაციო ხარჯი (-)	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		95449
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
9	საწარმოს წილის გასხვისებიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	
10	ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	
11	საწარმოს მიერ გაცემული სესხის დაფარვით მიღებული ფულადი სახსრები (+)	
12	მიღებული პროცენტები (+)	
13	მიღებული დივიდენდები (+)	

14	სხვა საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	
15	შვილობილი საწარმოს შეძენა ფულადი სახსრების გამოკლებით (-)	
16	ძირითადი საშუალებების შეძენა (-)	
17	სესხების გაცემა (-)	
18	სხვა საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების მიზნით გასული ფულადი სახსრები (-)	-178019
	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-178019
	საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
19	შენატანები კაპიტალში (+)	148000
20	შემოსულობა აქციათა ემისიიდან (+)	
21	შემოსულობა მოკლევადიანი სესხებიდან (+)	
22	შემოსულობა გრძელვადიანი სესხებიდან (+)	
23	მოკლევადიანი სესხის ძირითადი თანხის დაფარვა (-)	
24	გრძელვადიანი სესხის ძირითადი თანხის დაფარვა (-)	
25	მოკლევადიანი სესხის პროცენტის დაფარვა (-)	
26	გრძელვადიანი სესხის პროცენტის დაფარვა (-)	
27	გადახდილი დივიდენდები (-)	
28	სხვა საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მიღება (+)	
29	სხვა საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გასვლა (-)	148000
	წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	148000
	ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	329 406
	ფულადი სახსრები და ეკვივალენტების წმინდა ზრდა/კლება	65 430

დირექტორი: ფარზად ნური



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ქაფრინა (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2018 წლის 12 სექტემბერს, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის სამართლებრივი ფორმით, საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ქობულეთის ქუჩა 40/38
საიდენტიფიკაციო კოდი: 405 290 180.

შპს „ქაფრინა“-ს არ ჰყავს მშობელი საწარმო. დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია-ფარზად ნური.. (01901140492).
შპს „ქაფრინა“ არ ფლობს სხვა საწარმოებს და არც წილობრივი მონაწილე არ არის სხვა საწარმოების.

კომპანიის ძირითადი შემოსავალი გენერირდება უძრავი ქონების მშენებლობა და მისი რეალიზაციიდან და ობიექტების დაცვის ელექტრონული სისტემების შეძენა-რეალიზაციიდან.

შპს ქაფრინა, თბილისში, გ.გომიძეშვილის N36, ახორციელებს საცხოვრებელი სახლების მშენებლობას.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომ „მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია „საქართველოს“ ქვეყნის ფულად ერთეულში ლარში (GEL).

2022 წლის 31 დეკემბრისთვის შპს „ქაფრინა“-ს მარაგები შეადგენს 4466875 ლარს. მარაგებს წარმოადგენს ფართები, მზა პროდუქციის სახით, რომელიც მომავალში რეალიზაციისთვისაა განკუთვნილი 4426084 ლ და ობიექტის დაცვის და ელ. სისტემები 40791 ლ.

ამონაგების აღიარება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოში მოქმედი რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

2022 წ. შპს „ქაფრინა“-ს ნეტო ამონაგებმა შეადგინა 3973986 ლ. ძირითადი შემოსავალი საცხოვრებელი სახლების რეალიზაციიდან და უსაფრთხოების სისტემის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალია.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5 პროცენტი
1000 ლარამდე ძ.ს	20 პროცენტი
საოფისე აღჭურვილობა	20 პროცენტი
სპეციალური ინსტრუმენტები	20 პროცენტი

2022წ. შპს ქაფრინას მიერ ძირითადი საშუალებების არც შემენა არც გაყიდვა არ მომხდარა.

შპს ქაფრინას ბალანსზე ირიცხება საოფისე ფართი, რომლის წლიურად ერიცხება ცვეთა 5%

ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა 20%

ავეჯი 20%

მანქანა-დანადგარები რომლებსაც ერიცხებათ ცვეთის როგორც 20%, ასევე 8%

მიწა, რომლის ღირებულებაა- 3791895ლ.

2022წ. წლიურმა ცვეთამ შეადგინა 12642. ხოლო ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 230308 ლარს.

თუ არ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები. აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. შპს „ქაფრინა“-ს ბალანსზე ირიცხება საბუღალტრო პროგრამა ორისი. რომლის ნარჩენი ღირებულება 2022.31.12 არის 1057ლ. შემენილი არამატერიალური აქტივი აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის მიმდინარე საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება

შპს "ქაფრინა (405290180)

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის
თანხები მოცემულია ლარში თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული
მოგებაში ან ზარალში. ჯგუფმა 2022, 2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მოახდინა ძირითადი საშუალებების
გაუფასურების ტესტის ჩატარება.

იჯარა. იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული
აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა
იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით,
შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

შპს „ქაფრინა“-ს 2022წ. არც გასცემს იჯარით ქონებას და არც საიჯარო ვალდებულება არ გააჩნია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. ამონაგები, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ
დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს,
მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი
საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს
არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის
შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2022.31.12 შპს ქაფრინას სავაჭრო მოთხოვნები შეადგენს -9609ლ. ხოლო ავანსად გაცემული ფულადი სახსრები-315319ლ.

მიღებული ავანსები 891ლ. 2022წლის დეკემბრის თვეში დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები 54704ლ.

რაც შეეხება სესხს, შპს „ქაფრინას“ 2022წ. არც გაცემული და არც მიღებული არააქვს სასესხო ფულადი სახსრები.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ
ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო
ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული კურსის მიხედვით.
საკულისო სხვაობით წარმოქმნილი ნამეტი ან ზარალი აისახება ფინანსურ შემოსავალში ან ფინანსურ ხარჯებში.

2022წ.31.12. შპს „ქაფრინა“-ს სავაჭრო ვალდებულებები შეადგენს -1362916ლ.

პერსონალის ხარჯი და დაკავშირებული შენატანები. ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო
შვებულება, ბონუსები, არაფულადი სარგებელი და საპენსიო სააგენტოში შენატანები დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც
გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

2022წ. თანამშრომლებზე გაცემულმა სახელფასო სარგომ შეადგინა -96610ლ.

3. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით (საწარმოს უწყვეტობა), რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისთვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე.

2022წ. 31.12.2022 ქაფრინას შემოსავლების სამსახურის გვერდზე სალდო 0-ის ტოლია.

2022წ. დეკემბრის თვეში დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები შეადგენს 54704ლ.

4. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობაში ხშირად ხორციელდება ცვლილებები, რაც იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

კომპანიის საქმიანობასა და განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, ასევე ხელმძღვანელობის მიერ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას, საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ მათ მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იყოს განსხვავებული მიდგომა საგადასახადო შემოწმებასთან დაკავშირებით.

5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

შპს „ქაფრინა“ მომავალში გეგმავს ინვესტიციის მოზიდვას, რაც გულისხმობს, სამშენებლო ობიექტზე ,რომელიც მდებარეობს ,თბილისში ვ.გომიაშვილი N36გ, იჯარით გასცეს საოფისე ფართები,